საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ.
რაიონში 60 კაპ.

№ 419 1918 წ. შაბათი. დეკემბრის 28. № 419

საქართველოს მთავარ-შტაბის ცნობით ბრძოლის ველზე ღამე წყნარად ჩაუვლია. ვილსონი დეკემბრის 27 ლონდონში ჩავიდა. ბერლინში მოხდა მეზღვაურთა აჯანყება, რომელიც იარაღით მოსპეს. პარლამენტში სამხ. მინისტრმა გიორგაძემ და ვ. ჯუღელმა ფრონტის მდგომარეობა საიმედოდ აღიარეს.

კიტა აბაშიძის

გარდაცვალების წლის თავზე, მისი სულის მოსახსენებლად, კვირას, დეკ. 29-ს დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ მისი ჭირისუფლები. წირვის დასაწყისი 11 ნახ. ს. პანაშვიდის პირველის ნახევარზე. 1458

საქ. სოციალისტ-ფედერალისტთა სარევ. პარტიის მთავარი კომიტეტი აუწყებს ამხანაგებს და საზოგადოებას, რომ დაუვიწყარ ამხანაგის

კიტა აბაშიძის

გარდაცვალების წლის თავზე, კვირას, დეკემბრის 29-ს დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. წირვის დასაწყისი თერთმეტის ნახევარზე, ხოლო პანაშვიდისა—პირველის ნახევარზე. 1460

ღრმად დამწუხრებული მშობლები ნინო ლევანის ასული და დომენტი ივანეს ძე, და დაი ლიზა ბარნაბიშვილები, და დეიდაშვილი ვასო სვანიძე, აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი ქალთა მე-7 გიმნაზიის მე-V კლასის მოწაფე

ელენე ბარნაბიშვილი

დაკრძალვა მოხდება კვირას დეკემბრის 29-ს სოფელ ბარნაბიანთ-კარ

1466

მეუღლე გაიოზ ადამის ძე ბერელაშვილი, დედა სალომე ქაიხოსროს ასული, ძმები: დავით და მიხეილ ლორთქიფანიძეები და სიძე ოლიმპიადა კონსტანტინეს ასული და შალვა ანტონის ძე მიქელაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის პანაშვიდი მათი დაუვიწყარი

თამარ კონსტანტინე ლორთქიფანიძის ასულ ბერელაშვილის

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება განსვენებულის საფლავზე კვირას დეკემბრის 29-ს დილის 11 საათზე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში. 1463

ალექსანდრა ივანეს ასული ჩაგანავა და ეფემია ზაქარიას ასული შკარდნამისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დეკემბრის 29-ს გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

ალექსანდრე ლუკას ძის ჩაგანავას

სულის მოსახსენებლად. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში პანაშვიდი 12 ნახ. საათ. იქვე სასაფლაოზე იმავე ეკლესიის გალავანში. 2642

საზოგადოების საყურადღებოდ

უფრთხილდით სიყალბე! უკანასკნელ ხანებში ძლიან გავრცელდა ყიფიანის საუკეთესო ღვინის მაგივრად, რომელსაც მრავალი ჯილდო მიუღია გამოფენებზე და რომელიც რაჭის მაზრიდან არის ლ. და დ. ყიფიანების მამულიდან—ჰყიდიან ყალბ, უბრალო ღვინოებს. ამით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ ნამდვილი ყიფიანის ღვინის საწყობი არის ქუთაისში.
საწყობის მწარმოებელნი ნ. ტ. წერეთელი და ვ. ხარდ. პაპუაშვილი. 2629

ტფილისის სამაზრო საერობო გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ტფილისის მაზრაში ასარჩევია **მომრიგებელი მოსამართლენი** შემდეგ სამოსამართლო უბნებში: 1. ტფილისის უბანი—ბინა ქ. ტფილისი, 2. მანგლისის უბანი—ბინა მანგლისში, 3. ალბულახის უბანი—ბინა ალბულახში—(ბელი-კლუჩში), 4 ყარაიაში, 5. საგარეჯოს უბანი—ბინა საგარეჯოში და 6. სართიჭალის უბანი—ბინა სართიჭალა ან მარტყოფი, უბნის მომრიგებელ მოსამართლეს მიეცემა ჯამაგირი 650 მ. თვეში, ამის გარდა საკანცელარიო მასალის და ბინის გათბობა-განათებით 415 მ. თვეში. ვისაც სურს არჩეულ იქმნეს მოსამართლედ განცხადება, დოკუმენტები და კურიკულემ ვიტე უნდა შემოიტანონ ერობის სახლზე: რუსთველის ქუჩა, № 6 (გოლოვინის პროსპექტი) სადაც გერმანიის კომენდატურა იდგა.

1461 გამგეობა.

ქართველო ვაჭარნო და მრეწველნო!

თქვენი სამშობლო განსაცდელშია. უდიდესი ხიფათი მოელის თქვენს ერს, თქვენს მამულს, თქვენს თავსა და ოჯახს. ყველა ქართველი ვაჭარი და მრეწველი მოვალეა ყველაფრით დაეხმაროს მთავრობას ომის საქმეში და თვისი ვალი მოიხადოს წინაშე სამშობლოსი.

ტფილისის ქართველ ვაჭარ-მრეწველთა ყრილობამ იმსჯელა ამის შესახებ და დაადგინა: 1. შეგროვილ იქმნეს ქართველ ვაჭარ-მრეწველთა შორის 10 მილიონი მანეთი; 2. დაიყოს საქართველო ვაჭართა რაოდენობის მიხედვით რაიონებად და თითო რაიონს გაეწეროს ხვედრი თანხა; 3. ფულის გადახდა ყველასთვის სავალდებულოა; 4. შეგროვილი ფული უნდა შეტანილ იქმნეს ამიერ-კავკასიისა ან სამეურნეო ბანკებში ტფილისში.

ფულის შემკრები მთავარი კომიტეტი. 1467

წიგნის გამომცემლობა „სკოლა“ (ქუთაისში)

გამოვიდა ახალი გამოცემანი:

1. გერმანული ენის სახელმძღვანელო 1 კლასის კურსი ლექსიური განყოფილებით, ანბანით, საკითხავი მასალით, გრამატიკით და ლექსიკონით, მრავალი სურათით შემკული, შედგენილი გ. ხითარიშვილის მიერ 112 გვ. ფ. 5 მან.
2. „მნათობი“ ახალი ქართული ენის სახელმძღვანელო ანბანს შემდეგ სკოლაში სახმარებელი, მრავალი სურათით შემკული, შედგ. ი. ოცხელისა, ს. ყიფიანისა და დ. ოყრეშიძის მიერ 144 გვ. ფ. 6 მ.
3. ქართული კედლის კალენდარი 1919 წლისა მშვენიერად გამოცემული ფ. 7 მან.

მისამართი: ქუთაისი, ტფილისის ქუჩის შესახვევი, ი. ოცხელის სახლი. 2671

ტფილისის მოქალაქეთ!

1919 წლის იანვრის 1-ს რწმუნების ვადა უთავდებათ ქალაქის საბჭოს ხმოსანთ და ამიტომ ტფილისის ქალაქის გამგეობა ატყობინებს ტფილისის მოქალაქეთ, რომ ამა ქრისტიშობისთვის 28, 29 და 30 მოხდება სამ დღიური აღწერა ახალ საარჩევნო სიების შესადგენად.

აღწერის მოსახდენად ქალაქის გამგეობამ დანიშნა რამდენიმე ასეული აღმწერი, რომელთაც მიეცათ ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული მოწმობები.

აღწერის გაჭიანურებისა და საარჩევნო სიებში ვისმე გამოტოვების თავიდან ასაცილებლად ქალაქის გამგეობა სთხოვს ტფილისის მოქალაქეთ აღწერის დღეებში (ქრისტიშობისთვის 28, 29 და 30 სახლში იყვნენ დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 9 საათამდე, წინაამღდეგ შემთხვევაში დასტოვონ სახლში დაწვრილებითი ხოჯები როგორც თავისს, აგრეთვე ოჯახის შესახებ. ამ შემთხვევაში სავალდებულოა დასტოვონ საბუთები, რომლის ძალითაც შეტანილ უნდა იქმნენ საარჩევნო სიებში რომელთათვისაც საჭიროა შემდეგი ცნობები: № კომისარიატისა, ქუჩისა, სახლისა და ბინისა. გვარი, სახელი, მამის სახელი, წლოვანება, ეროვნება, ხელობა და იცის თუ არა წერა კითხვა

აღმწერთა მუშაობის ასაჩქარებლად და აგრეთვე სიების სრულ და სწორ შედგენისათვის, ქალაქის გამგეობა სთხოვს მოქალაქეთ—მიაწოდონ აღმწერთ საჭირო ცნობები, რომელთაც-კი დამოკიდებულება ექნებათ საარჩევნო სიების შედგენასთან, და თუ საჭიროთ აღმოჩნდება, აჩვენონ ხოლმე საბუთებიც, რომელნიც უნდა ამოწმებდნენ, რომ ესა თუ ის პირნი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეა (პასპორტი, მეტრიკული მოწმობა, ან ნამსახურებითი სია—თავისი ან მამისა).

ჩამომავლობით ქართველნი ყოველივე შემთხვევაში ითვლებიან საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებად, ამიტომ ზემოდ აღნიშნულ საბუთების წარდგენა მათთვის სავალდებულო არ არის, გარდა მეტრიკული მოწმობისა იმ პირთათვის, რომელნიც გარეგანი შეხედულობით 20 წლისაზე უმცროსნი არიან.

თუ რაიმე გაუგებრობამ იჩინა თავი აღმწერთა და მოქალაქეთა შორის, ქალაქის გამგეობა სთხოვთ უკანასკნელთ მიმართონ საუბნო ბიუროებს.

საუბნო ბიუროები აღწერის დღეებში ღია იქნება დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე—ქვემოთ ჩამოთვლილ 13 ალაგას:

1. უბანი—სამოქალაქო პირველ დაწყებითი სკოლა, ოლღას ქ. № 25, ს. მაჩაბლისა.
2 უბანი—ვაჟების პირველი გიმნაზია, გოლოვინის პრ.
3 უბანი—მესამე ქალთა გიმნაზია, ლერმონტოვის ქუჩა.
4 უბანი—ქარვასლა მანთაშევისა, სომხის ბაზარი, 62.
5 უბანი—პუშკინის სამოქალაქო სკოლა, ვორონცოვის ქუჩა.
6 უბანი—ხადეჟდის თავშესაფარი.
7 უბანი—ავლაბრის კლუბი (საზამთრო შენობა).
8 უბანი—პირველი საკომერციო სასწავლებელი.
9 უბანი—სამოქალაქო სკოლა პერედიდის სახელის, ჩერქეზიშვილის ქ. 29.
10 უბანი—სახალხო სახლი ზუბალაშვილისა.
11 უბანი—თეატრი ნაძალადევისა, ჩერქეზიშვილის ქუჩა.
12 უბანი—რკინის-გზის სასწავლებელი.
13 უბანი—საბურთალოს კომისარიატი.

ტფილისის ქალაქის გამგეობა.

სახალხო სიმღერა-გალობის
6 თვიანი კურსები
მიხ. კავსაძისა
სამშაბათობით და პარასკეობით
საღ. 5—6 საათამდე.
ჩუღურეთის ნიკოლოზის კლასი.
2603

გამოვიდა და იყიდება ყველგან
სამსონ ფირცხალავა
ეროვნება და ეროვნული თავისუფლება
ფასი 2 მან. 50 კაპ.

ტფილისი, დეკემბრის 28.

მოკავშირენი ჩვენში

გუშინ ჩვენ გამოვსთქვით ძლიერ მოკლედ ჩვენი აზრი მოკავშირეთა აქ მოსვლის შესახებ. ჩვენ ყოველთვის, წინადაც, ეხლაც აშკარად და გაბედულად ვამბობთ: პრინციპიალურად ყოვლად მიუღებელია სუვერენულ სახელმწიფოში უცხო ძალის შესვლა რა მიზანიც უნდა ჰქონდეს მას მაგრამ ტრაგედია მცირე ერებისა და უბედურება დღევანდელი იმპერიალისტური მსოფლიოს—სწორედ ისაა, რომ იგი არაფერს დაგიდევს და არაფერს გეკითხება. აბსოლიუტურად მცირე ერების დამოუკიდებლობა ნამდვილი არაა, რადგან მათ ყოველთვის უხდებათ ანგარიში გაუწიონ იმ ძალებს, გარშემო რომ არტყიან და ასე ამ რთულ პირობებში შეინარჩუნონ თავისუფლება. დიდ სახელმწიფოებს არც კი მიაჩნიათ საჭიროდ სიტყვიერად თავი გაიმართლონ, როდესაც რომელიმე პატარა სახელმწიფოს ტერიტორიას ეპატრონებიან, თუ ამ გამართლებას სხვა სხვა დიდი ვინმე მეტოქე არ მოსთხოვს, და ძალიან უკვირთ, როდესაც მცირე ერი ხმას იღებს და თავისუფლების შეზღუდვის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებს. ასეთია ხასიათი და თვისება ყოველგვარ იმპერიალიზმისა.

ვიმეორებთ, ჩვენში წინადაც იყო უცხო ძალა, მაგრამ იგი გაჭირვების დროს დასახმარებლად, ოსმალთა ურდოების მოსაგერიებლად მოვიწვიეთ და მართლაც აასრულეს კიდევაც ის პირობები, ჩვენმა მთავრობამ რომ დასდვა მათთან. ეხლაც, როცა მეორე უცხო ძალა კარს გვადგია—უნდა გამოვარკვიოთ—რა ჰნებავთ, რა მიზნები აქვთ მათ საქართველოს შესახებ. ჩვენ არაფერი საწინააღმდეგო და სამხედრო მათთან არა გვაქვს რა, მაგრამ ჩვენ უზრუნველყოფილი უნდა ვიყვნეთ იმისგან, რომ ეს უცხო ძალა ჩვენს შინაურ საქმეებში არ ჩაერევა და არ გადასდგამს ისეთს ნაბიჯებს, რომელიც ჩვენი დამოუკიდებლობის და თავისუფლების შეზღუდვად შეიძლება ჩაითვალოს. ჩვენი მთავრობა ამ გზას მტკიცედ უნდა დაადგეს და ნება არავის მისცეს ჩვენი დაჩაგვრისა, რადგან დღევანდელი მთავრობა არის **საქართველოს დამოუკიდებლობის მთავრობა** და მას ეს არასოდეს უნდა დაავიწყდეს. სამწუხაროდ არის ზოგიერთი ნიშნები, რაიც მოწმობს, რომ მოკავშირენი ჯეროვნად არ არიან გაცნობილნი ადგილობრივ მდგომარეობას და ისეთი ნაბიჯების გადადგმას აპირებენ, რაიც ჩვენთვის სახეირო არაა და არც მათი საქმისათვის იქნება სასარგებლო. ისინი კატეგორიული წინადადებით მოდიან ომის საკითხში და სცდილობენ საზოგადოდ ინიციატივა იკისრონ ამ საქმეში. ჩვენ ამ ინიციატივის წინააღმდეგ არა გვაქვს რა, რადგან ომი საქართველოს მიზანი არასოდეს არ ყოფილა. ჩვენ ვიცით, რომ მეზობლებთან კეთილგანწყობილება არის ამავე დროს გარანტია საქართველოს სიმტკიცისა და დემოკრატიის საერთო საქმის გამარჯვებისა. მაგრამ ჩვენ მოვითხოვთ და ყოველგვარი საშუალებითაც დავიცავთ სამართლიანობას. ჩვენი თავდამსხმელნი და ამიერ-კავკასიაში შფოთის ამტეხნი უეჭველად უნდა დაისაჯონ, რათა ქართველმა ერმა არ იფიქროს, რომ მას მოუხეშავი გარეშე ძალა სჩაგრავს და სამართლიანობას ფეხით სთელავს. საზოგადოდ მოსულმა ადგილობრივ ერთა სურვილებს მეტი ანგარიში უნდა გაუწიოს.

აღსანიშნავია კიდევ ერთი წვრილმანი, საზოგადოებაში ხმები დადის, რომ ძეგვის ხიდის აფეთქება ინგლისის მისიის დავალებით მოხდაო. ჩვენ ეს არ გვჯერა, რადგან ასეთი რამ მოკავშირეების სახელს ნაკლებ შარავანდედს მოჰფენდა. მაგრამ დამახასიათებელია ის, რაც პოლკოვნიკმა ჟურდანმა ჩაიდინა. მან სუვერენულ სახელმწიფოს ოფიციალურ, უმაღლეს სასამართლოს უბეჭდო მოწმობა გაუგზავნა და ისიც სასტუმრო „ორიენტის“ ბლანკზე დაწერილი რა არის ეს, ნუ თუ საცინლად აგდება და უყურადღებობა არაა იმ ერისადმი, რომელმაც ამდენი სისხლით და ცეცხლის რკალში გამოვლით შეირჩინა თავისუფალი არსებობა და წესიერება?..

ვიმეორებთ, მთავრობა მტკიცე უნდა იყვეს და მოსულ ძალებს შესაფერისად დახვდეს. ყოველ წუთს უნდა გრძნობდნენ, რომ ისინი დამოუკიდებელ სახელმწიფოში არიან და მერე ისეთს სახელმწიფოში, სადაც მთელი ხალხი და მთავრობა გაერთიანებულია ერთი ლოზუნგის გარშემო! სხვისი არაფერი მინდა, მაგრამ ჩემსას დავიცავ ყოველის საშუალებით. ჩვენდა სამეგობროდ მოსულებს ეს არასოდეს უნდა დავავიწყოთ.

ქართული პრესა

მკითხველებს უკვე ეცოდინებათ, რომ საქართველოში და მთლად კავკასიაში ინგლისელების საზოგადოდ მოკავშირეების ჯარი შემოდის. ჩვენში ეს პირველი არაა—აქ გერმანელებიც იყვნენ, მაგრამ ჩვენ ისინი მოვიწვიეთ განსაზღვრულ მიზნით და მოვიწვიეთ, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ. ეხლანდელი მდგომარეობა კი სულ სხვანაირია და ესერების გაზეთი „შრომა“ სრულიად სამართლიანად ამბობს:

> მოვლენის გაუგებრათ და დაუფასებლად, როგორც უკან დახევა და დათმობა ისე შეტევა მავნებელია. საჭირო მდგომარეობის გამორკვევა და შესაძლო იქნება გარკვეულ გზაზეც დადგომა. ჩვენში ინგლისელები შეიარაღებული დადიან. ჩვენ ისინი არ მოგვი-

წვევია რას ნიშნავს მათი ასეთი საქციელი? ამ გარემოებას ხალხში არევ-დარევა შეაქვს საჭირო მდგომარეობის გამორკვევა

სომხური პრესა

„ჟოღოვურდი ძაინი“ (№ 90, დეკ. 25) მეთაურს უძღვნის რუსეთის პოლიტიკურ მდგომარეობას, კერძოდ „ომსკის რევოლიუციას“.

ომსკში დაეცა ესერული მთავრობა და „მთელი ძალა-უფლება გადავიდა ცნობილ ადმირალის კოლჩაკის ხელში, რომელიც გამოცხადდა დიქტატორად. მისი შტაბის მმართველად დანიშნული იქმნა გენერალი დენიკინის წარმომადგენელი სარდალი ლებედევი. **ამნაირად კავშირი მყარდება დენიკინის მოხალისეთა ბანაკსა და რუსეთის მთავრობას შორის და ყოველივე ეს მოხდა შეთანხმებით სახელმწიფოთა მფარველობით**“.

გაზეთი ამ მოვლენაში ხედავს რუსეთის აღდგენის ნიშანს, მის ბოლშევიზმის კლანჭებიდან განთავისუფლებას და ეროვნულ და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის ნიადაგზე მდგომ ელემენტების ხელში გადასვლას.

„ამიერ-კავკასიის ერები და კერძოდ სომხის ერი უნდა მიესალმოს იმ ფაქტს, რომ დიდი რუსის ერი ყველა რუსეთის ერების შემდეგ მძიმე სულიერ ტანჯვათა და რყევათაგან გამოვიდა ეროვნულ და სახელმწიფოებრივ განვითარების გზაზე“.

—

„მშაკი (№ 266, 267, 27 დეკ.) განაგრძობს ჩამოთვლას იმ საკითხებისა, რომელნიც უნდა განიხილოს ამიერკავკასიის კონფერენციამ; ეს საკითხებია: 1) სამივე რესპუბლიკისთვის საერთო სარკინიგზო და საფოსტო სატელეგრაფო სისტემის და მართვა-გამგეობის შექმნა, 2) საერთო ფინანსიური სისტემა, 3) საბაჟოების მოსპობა და საერთო საბაჟო სისტემის შექმნა.

ამნაირად მომავალ კონფერენციაზე საძირკველი უნდა ჩაეყაროს ამიერკავკასიის კონფედერაციას, რაც მომავალში ფედერაციად უნდა გადაიქცეს

იმავე გაზეთის მე-266 №-ში მოჰყავს გაზეთ „შრომა“-ს წერილი, რომელშიაც ქართველი ეს-ერები ამტკიცებენ, რომ ქართული „ნაციონალისტურ-სოციალისტური“ პრესა სომეხ-ქართველთა ომის გამოწვევას უსამართლოდ აბრალებს მთელ სომხის ერს, მაშინ როდესაც დამნაშავე არიან სომხეთის მთავრობაში გაბატონებული დაშნაკელებიო.

„განსაკუთრებულის სიამოვნებით მოგვყავს ეს სალი და კეთილშობილი აზრები, რომელნიც ფრიად სასიამოვნო და სანუკეშოა ანტისომხურ ვაკხანალიის დროს“.

ნარკვევი

სომხების გამოჩენილი მწერალი ოვ. თუმანიანი „ტიფლ. ლისტ“ ფრიად საყურადღებო წერილს უძღვნის სომეხ-ქართველთა ომს.

რასაკვირველია, სომხთა მგოსანი, ჰგმობს ორ მოძმე დემოკრატიის შორის ჩამოვარდნილ სისხლის ღვრას, მოითხოვს მის შეჩერებას და მისი მიზეზის—საზღვრების საკითხის—დაუყოვნებლივ გადაჭრას.

„სამხედრო მოქმედებათა შეჩერების შემდეგ იმ წამსვე ეს საკითხი—სადავო საზღვრის საკითხი—უნდა გადაწყდეს. **მოკავშირეებმა, რომელთაც გვახარეს რომ წესიერებას და მშვიდობიანობას აღვადგენთ შავსა და კასპიის ზღვებს შორისო, მხედველობაში უნდა მიიღონ რომ ეს საკითხი კავკასიაში ყველაზე უფრო მომწიფებული, ყველაზე უფრო რთული საკითხია**“ (ხ ჩვ.).

შემდეგ ავტორი აღნიშნავს რომ ეთნოგრაფიული სიჭრელე ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა შედეგია სხვა და სხვა დროის დამპყრობელთა დიდი ეტ იმპერას პოლიტიკისა და აუცილებლად სთვლის ამ მოვლენის ერთხელ და სამუდამოდ გამოსწორებას, ხოლო გადამიჯვნა საქართველოს სომხეთის და ადერბეიჯანის ტერიტორიებისა აუცილებელი მოთხოვნილებაა მომენტისა, ამას მოითხოვს ქართველის, სომხის, ადერბეიჯანელი თათრის ინტერესები და ამიტომ ისინი ამ საქმეში ერთმანეთს უნდა ეხმარებოდნენ და არა ხელს უშლიდნენო.

„რასაკვირველია, ნაწილი ერთი ერისა ყოველთვის დარჩება სხვა ერის ტერიტორიაზე, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელობა აქვს იმ პრინციპს, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ეს ტერიტორიათა გადამიჯვნა.

მე მგონია, ადგილობრივი ერებისათვის მიუღებელი იქნება როგორც პოლიტიკურ, აგრეთვე სტრატეგიული და თითქმის ეთნიური პრინციპიც კი. ერთად-ერთი მტკიცე საფუძველი გადამიჯვნის არის **ისტორიულ კულტურული პრინციპი** (ხაზი ავტორისა).

ერებს შეუძლიათ ბევრი რამ დაივიწყონ, მაგრამ თავის ისტორიას, თავის კულტურას ისინი ადვილად ვერ დაივიწყებენ..

სომეხი უფრო ადვილად დასთმობს ახალქალაქის რაიონს, ვიდრე ალაშქერტისას... თუ სომეხმა მიიღო თავის სამშობლო, ის ძალიან ადვილად დასტოვებს ახალქალაქს და ქართველიც თუ ახალქალაქს მიიღებს, ძალიან ადვილად დასთმობს ლორეს და სხვ.“ (ხაზი ჩვენია).

დასასრულ ავტორი ურჩევს მეზობლებს რომ ერთი ერთმანეთის ბედნიერებაზე იფიქრონ, რადგან „ვერც ერთი ერი ვერ იქნება ამშვიდებით, თუ მისი მეზობელი არ არის დამშვიდებული, ვერც ერთი ერი ვერ იქნება ბედნიერი, თუ მისი მეზობელი უბედურია“.

ჩვენ დარწმუნებული ვართ ბ. ოვ. თუმანიანის კეთილშობილებაში და გულწრფელობაში მაგრამ გვაკვირვებს წერილის ზოგიერთი ადგილი.

ერთი, სადაც ავტორი ჩვენ ტერიტორიების გადამიჯვნის საკითხზე აჩერებს მოკავშირეთა ყურადღებას. ნუ თუ ბ. თუმანიანს არ ეჩოთირება, რომ ჩვენს სამეზობლო საქმეებში ჩაახედოს რომელიმე მესამე ძალა? თუ გინდა მოკავშირეთა სახელმწიფოებიც იყოს ეს მესამე ძალა? წერილის დედა აზრს და კიდეს ეს რაღაც არ შეეფერება.

საქართველოს და სომხეთის ომი

საქართველოს რესპუბლიკის ჯარის მთავარ შტაბის ცნობა

დეკემბრის 27. ყველა ფრონტზე ღამემ წყნარად ჩაიარა.

პროვინციიდან.

პროვინციიდან მთავრობას აუარებელი დეპეშები მოსდის, რითაც ხალხი გამოსთქვამს თანაგრძნობას მისალმი და მზად არის მტერს შეებრძოლოს.

ინგლისური პრესის ცნობები

ვილსონი ლონდონში.

დეკემბრის 27 ვილსონი წავა ლონდონში, სადაც ის 4 დღეს დარჩება. ვილსონი თავის მეუღლით ბინად იქნება მეფესთან ბუკინგამის სასახლეში.

მილიუკოვი და მოკავშირენი.

რუსეთის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრმა მილიუკოვმა ინტერვიუს დროს სთქვა, რომ რუსეთში მოხდა ისეთი კატასტროფა, რომლის მგზავსი არ ახსოვს ისტორიას. მოკავშირეთა ჩარევა აუცილებელი იყო, ამ ერთი წლის წინად მოკავშირეთა მცირედ დახმარებასაც შეეძლო რუსეთის გადარჩენა, ახლა კი ამისთვის დიდძალი ჯარია საჭირო, რუსეთში მცხოვრებთა 99 პროც. მათ შორის ზომიერი სოციალისტებიც, მომხრე იყვენ მოკავშირეთა ჩარევაზე რუსეთის საქმეში.

შეიდმანი და საბჭოები.

შეიდმანმა თავის სიტყვაში დამფუძნებელ კრების არჩევნების რეზოლიუციის შესახებ სთქვა, რომ საბჭოები აუცილებელი ინსტიტუტები იყვენ, მაგრამ ისინი არ უნდა დარჩენ სამუდამოდ: ხალხის უმრავლესობა უარყოფით შეხვდებოდა მათ დიქტატორობას ხალხის სრული დაკმაყოფილება მხოლოდ დამფუძნებელ კრებას შეუძლია.

გერმანული პრესის ცნობები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო.)

მეზღვაურების აჯანყება.

გუშინდელი ამბების შესახებ და იმ პოზიციაზე, რომელიც მთავრობის ჯარმა დაიკავა აჯანყების დროს ოფიციალურად იუწყებიან შემდეგს: ბერლინში გუშინ მომხდარ უწესრიგობის გამო ჯარის ჩარევა გამოწვეული იყო მხოლოდ იმ სურვილით და მიზნით, რომ დაეცვათ ებერტის მთავრობა და ჰააზე აჯანყებულ მეზღვაურთაგან. ჯარი, რომელმაც ჯერ კიდევ ბერლინში შემოსვლამდე განაცხადა ერთგულება ახალ მთავრობისადმი და აჯანყებაში ჩაერია იმიტომ, რომ ხელი შეეშალა ეგოისტურ მიზნებით გამოწვეულ მეზღვაურთა აჯანყებისთვის და რევოლიუციის მონაპოვარი საფრთხეში არ ჩაეგდო. დეკემბრის 24-ს ნაშუადღევს ქუჩებში სიწყნარე იყო; მხოლოდ სახლებში იმართებოდა ბერლინში მყოფ სამხედრო ნაწილების კრებები.

უკანასკნელ ამბების გამო მთელი პრესა მოითხოვს, რომ მთავრობა (გამოტოვებულია). და მიიღოს ზომები, რომ გაძევებულ იქმნან ბერლინიდან მეზღვაურნი და შემდეგშიაც აღარ დაირღვეს წეს-რიგი; თუ კი ხალხს აქვს სიტყვის თავისუფლება და უზრუნველყოფილია მისი უფლება კენჭის ყრით გადაჭრას საკუთარი ბედი იმ შემთხვევაში ყოველი წრეს გადასული მოძრაობა უნდა ჩაითვალოს კონტრ-რევოლიუციონურად. მთავრობამ თავისი ავტორიტეტით უნდა განახორციელოს ხალხის ავტორიტეტი.

„ბერლინერ ლოკალ ანცაიგერი“ სასტიკად აკრიტიკებს ამას წინად მომხდარ ამბებს და სწერს: „მეზღვაურებმა თავის წინააღმდეგ აამხედრეს არა თუ მარტო ბერლინის გარნიზონის დიდი ნაწილი, არამედ ყველა საღად მოაზროვნე მოქალაქე“. „ფოსიშე ცეიტუნგი“ ამბობს: „სახალხო რწმუნებულები, რომლებსაც მთელი თავის სიმძიმე თავს დააწვა პასუხისმგებლობისა, მოვალე არიან გადასწყვიტონ ფიქრობენ თუ არა ჩასთვალონ თავისი თავი სრული უფლების მატარებლად და თუ სთვლიან თავის თავს ასეთად, მაშინ გერმანიამ უნდა იცოდეს, რომ ანარქიისა და და მღუპველ სამოქალაქო ომის წინააღმდეგ მთავრობა იღებს ენერგიულ ზომებს, რომელიც ანარქიას ბოლოს მოუღებს იმავე კილოთი ლაპარაკობს „ბერლინერ ლოკალ ანცაიგერი“: „გერმანიაში ძალა-უფლების მოურნეებმა უნდა შეიგნონ, რომ ისინი უმაღლეს სახელმწიფოებრივ ძალა-უფლების გამომხატველნი არიან და ხალხს იმის ანგარიში უნდა მისცენ. თუ როგორ იცავენ მათთვის ჩაბარებულ საუნჯეს -

ბერნშტეინი.

ცნობილი სოციალ-დემოკრატი მწერალი ბერნშტეინი, რომელიც დამოუკიდებელ სოციალ დემოკრატიულ პარტიას ეკუთნოდა, სოციალ-დემოკრატიულ უმრავლესობის მხარეზე გადავიდა.

ოსმალეთის პარლამენტის დაშლა.

სტამბოლიდან „ციურიხის დილის გაზეთს“ ატყობინებენ, რომ ახლო მომავალში მოხდება ოსმალეთის პარლამენტის დაშლა და კაბინეთის გადადგომა და დაარსდება ოსმალეთის საკავშირო სახელმწიფო.

ინგლისი და ჰიბრალტარი.

გაზეთი „კოპენჰაგენერ-ცეიტუნგ-პოლიტიკანი“ ათავსებს „ეკოდე-პარის“ ცნობას, რომ ინგლისი უნდა მოემზადოს ჰიბრალტალზე უარის თქმისთვის, რადგან მისი სტრატეგიული მნიშვნელობა შესანიშნავად შემცირდა რაც ხმარებაში შემოვიდა შორს მსროლელი არტილერია. ინგლისმა სამაგიეროდ უნდა მიიღოს ცეუტა, ან სხვა რომელიმე ადგილი მაროკოს ნაპირზე.

ახალი ამბავი

◆ **ქართველ მწერალთა საყურადღებოდ.** 1919 წლის იანვრიდან გამოვა ყოველ თვიური სალიტერატურო სამეცნიერო და კოოპერატიული ჟურნალი „შვიდი მნათობი“. რედაქცია სთხოვს მსურველთ გამოაგზავნონ თავისი ნაწარმოები შემდეგის მისამართით: მიხეილის პრ. № 178, „შვიდი მნათობის“ რედაქცია. დაბეჭდილ მასალის ავტორნი მიიღებენ შესაფერ ჰონორარს

◆ **სტუდიის წარმოდგენა.** ხუთშაბათს, იანვრის 2 ს, ქართული სტუდიის მიერ, არტისტიული საზოგადოების თეატრში, წარმოდგენილი იქნება ა. სუმბათაშვილის „ღალატი“. წმინდა შემოსავალი გადაიდება ქართველ მეომართა საშობაო საჩუქრებისათვის.

◆ კვირას, დეკემბრის 29 დილის 10 საათისთვის დანიშნულია მედიკურ საზოგადოების შენობაში საერთო კრება აფთიაქში მომუშავეთა და ამხანაგებს ვთხოვთ დაესწრონ. დღის წესრიგი: მიმდინარე მომენტი და დამტკიცება უმუშევართა ინსტრუქციისა.

◆ **ქ შ წ.-კ. გ. საზოგადოებაში.** წ. კ. გ. ს. მთავარმა გამგეობამ უკანასკნელ თავის მორიგ სხდომაზე დაადგინა: 1) გადაიდოს სამხედრო ფონდის გასაძლიერებლად 500 მანეთი. 2) მოიდანახეს (სამეგრელოში) სკოლის მასწავლებლად დანიშნა ერასტი როდონარია. 3) დაამტკიცა ზუგდიდის განყოფილების გამგეობის დადგენილება ზუგდიდან ქართული სკოლის სოფ. კორცხელში გადატანის შესახებ და ხსენებული სკოლის მასწავლებლად დანიშნა გრიგოლ თოლორაია. 4) დააკმაყოფილა მარტყოფის ბიბლიოთეკის გამგის შუა-

ტფილისი

პასუხად ხუდადოვს.

სწორედ მაშინ, როცა სომხეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური მოლაპარაკება შესწყდა, როცა, სომხის გენერალმა დრომ თავისი ჯარები შემოარეკა საქართველოს საზღვრებში, სწორედ ამ დროს ტფილისში ესერულს კლუბზე მოლაპარაკე დაშნაკცაკანმა ხუდადოვმა იეზუიტური წერილი დასწერა მთავრობის მიერ დახურულ გაზეთში, სადაც ის თითქოს ფაქტებით გვედავებოდა, რომ ტფილისი ყველასათვის უნდა იყვეს და არა საქართველოსთვისო.

მშვიდობიან დროს, როცა ყოველგვარ საკითხზე უფრო დალაგებით შეიძლებოდა ლაპარაკი, ჩვენ არა ერთი და ორი წერილი დავსწერეთ ტფილისის შესახებ, მაგრამ მაშინ ხუდადოვები გაჩუმდნენ, კრინტიც არ დასძრეს. ეხლა კი, ძეგვის ხიდის აფეთქების შემდეგ და სანაინის დარბევის შემდეგ, სომხის მწერალი ხუდადოვი გამოვიდა სააპარეზოდ და ხალხს ეუბნება: —ტფილისი შეუძლებელია საქართველოსი იყოსო.

დღეს, როცა არა თუ არ გვცალიან ასეთ საკითხების გარჩევა-დალაგება დავიწყოთ, არც საჭიროდა ვსცნობთ ათასჯერ გარკვეულ და გადაჭრილ საგანს დაუბრუნდეთ, ჩვენ ისევ გვინდა ხუდადოვს მივაპყროთ ჩვენი ხალხის ყურადღება და გამოვააშკარავოთ, თუ რამდენად მდაბალი და თან პროვოკატორული სუნი ასდის ხუდადოვის ყვირილს.

პირველად ჩვენ გვინდა ვიკითხოთ: ვისთვის უნდა ბ-ნ ხუდადოვს ტფილისი? საქართველოს გულს რომ აშორებს ტფილისს ვის უძღვნის ამ ქალაქს? რას ნიშნავს საერთო ქალაქად ტფილისის გამოცხადება?

ამიერ კავკასიაში სამი დიდი ერია დასახლებული: ქართველები, თათრები და სომხები. ამ რევოლიუციის დროს რუსობა წავიდა აქედან, სხვა ერი უმნიშვნელო უმცირესობაა. თათრობას კი ტფილისზე ერთხელაც არ დაუძრავს კრინტი და ის ბაქოსა და განჯის ნაციონალიზაციას ესწრაფვის. დარჩა მხოლოდ სომხობა და აი ეს ვაჟბატონი ხუდადოვი დარწმუნებული, რომ ქვებიც გაიცინებენ, რომ ერთი წუთით სთქვა: —ტფილისი სომხური ქალაქიაო, ამ საცილო ამბავის გამოცხადებას ვერ ბედავს, ეფარება საერთო საფარს, ინტერნაციონალის დროშას და სომხური ინტერესის დასაცავად ცდილობს ტფილისი საერთო ქალაქად გამოაცხადოს.

ტფილისი გულია საქართველოსი, მაგრამ ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ტფილისში ცხოვრება არ შეუძლია სხვა ერის ძალას. ქუთაისშიაც, ფოთშიაც, ბათომშიაც, ჩვენს სოფლებშიაც ჩვენ უცხოელისათვის ცხოვრების უარი არ გვითქვამს და ყველას, ვინც კი მტრობის განზრახვით ჩვენთან არ მოსულა, ჩვენში ადგილი და მასპინძლობა უნახავს.

ტფილისშიაც ცხოვრობენ სხვა და სხვა ერის ძალები, ამ მხრივ ერთობის პრინციპი ჩვენ კაი ხანია ცხოვრებაში გავატარეთ, მაგრამ ხუდადოვის ტფილისის ინტერნაციონალიზაცია ნიშნავს არა მხოლოდ იმას, რომ ტფილისში ქართველებს გარდა ცხოვრების უფლება ქონდეთ, არამედ იმას, რომ უცხო ერის **სახელმწიფოებს** უფლება ჰქონდეთ გამოიტანონ ტფილისში—როგორც საერთო ქალაქში თავიანთი მთავრობის დაწესებულებანი, გაიჩინონ თავიანთი ან შერეული მილიცია და დააყენონ საკუთარი ჯარი. აი მკითხველო, ტფილისის მოქალაქე და საქართველოს ვითომდა ქვეშევრდომი ხუდადოვი ასეთ პლანებს გვითხზავს ტფილისის შესახებ სწორედ მაშინ როცა მისი თანამემამულე ჩალხუშიანცი და კიურიჩლიანცი ძეგვის ხიდს აფეთქებს და ცდილობს ტფილისის კედლებიც დაანგრიოს.

ბ ნი ხუდადოვი ისტორიას მოგვითხრობს, თუ რამდენჯერ დაუპყრიათ თათრებს და სპარსელებს ტფილისი რამდენ ხანს ტფილისი იყო რუსების ხელში და სხვა. ამ ყველასათვის ცნობილ ფაქტებს ხუდადოვისათვის გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ვისაც თავის ქალა გონიერების საჭურჭლედ აქვს და არა ბოროტ განზრახვებისათვის, მისთვის ამ ერთად ერთი ფაქტით ტფილისის სახეობის წაშლა-რასაკვირველია შეუძლებელია. განა ერთსა და ორჯერ, ან ერთ წელსა და ათ წლებში ყოფილა სტამბოლში სხვა და სხვა ერის ძალა?—მაგრამ ამის გამო ვინ ამბობს ეხლა, რომ სტამბოლი ოსმალეთის არ არის?

მოვიგონოთ თვით არარატის რესპუბლიკა, რომელიც დავიწყებია ხუდადოვს, ეს რესპუბლიკა საუკუნოების განმავლობაში ხან რომაელების ხელში, ხან ბერძნების, ხან სპარსელების, ხან ოსმალების და ხან ქართველების, ეხლაც ერევნის რესპუბლიკაში მკვიდრი სომხობა მთელს გუბერნიაში უმრავლესობასაც არ წარმოადგენს და რად არ ამბობს ხუდადოვი, რომ შეუძლებელია სომხეთის რესპუბლიკის ცნობაო. ასეთი ქვეყნის კაცი ჩვენში მოდის და გვედავება—ქალაქებს!?.

კიდევ ბ-ნო ხუდადოვო: ყარსის ოლქი საბუდარი იყო ხან მაკედონელების, ხან ასირიელების, ხან რომაელების, ხან ქართველების ხან სომხების, ხოლო მეთვრამეტე საუკუნიდან ის ოსმალეთის ხელში იყო, თუ ყველა ამას მოიგონებს ბ-ნი ხუდადოვი გვეტყვის თუ არა რომ ყარსი ვერ მიეცემა სომხებს?—რასაკვირველია, მკითხველო, ხუდადოვი ამას არ იტყვის, ვინაიდან მას სამართალი კი არ აინტერესებს არამედ როგორმე სხვისი ქონების ხელში ჩაგდება

ვაი პოლონეთს, ლიტვას, ფინლიანდიას, ირლანდიას და სხ. ქვეყნებს რომელთაც ხუდადოვებისთანა მოაზრენი გაუჩნდება!

ბ ნო ხუდადოვო, თავი გავანებოთ ყოველგვარ მოსაზრებას და ერთი ყველასათვის ცნობილი ფაქტი მოვიგონოთ ტფილისის კედლებს გამოუცდია ბატონობა მრავალ სახელმწიფოსი, მაგრამ ტფილისის ბატონი არასოდეს. არც ერთხელ არ ყოფილა სომხის მთავრობა თუ ის საბუთები, რომელიც ხუდადოვს მოჰყავს ვისთვისმე საბუთად ჩაითვლება იმ საბუთებითვე პირველ ყოვლისა შემდეგი უნდა ვსთქვათ: ტფილისზე ყველაზე ნაკლები უფლება აქვს სომხობას, ვინაიდან, სომხობის ხელში არასოდეს არ ყოფილა ტფილისი და დღეს კი სწორედ ეს უნიადაგო ხალხი ყველაზე მეტად გვედავება ტფილისში! ამაზე მეტი უტიფრობა და ბოროტება ვის მოსწრებია?!.

მაგრამ არა, რაკი ისტორიაზე წავიდა საქმე ჩვენ კიდევ სხვა ფაქტებიც უნდა მოვიყვანოთ, რომელსაც ბ ნი ხუდადოვის თავის ქალა გაიძვერულად მალავს ტფილისს რომ მრავალი სახელმწიფო მტრობდა მუდამ, ხან აქ იმარჯვებდა, ხოლო ხან მარცხდებოდა—ვინ იყო ტფილისში ხან დამარცხებული და ხან გამარჯვებული? ვინ იცავდა ტფილისს, ვისი ძვლებით და სისხლით ირწყვებოდა ტფილისის ქუჩები?—ბატონო ხუდადოვო: ტფილისისათვის მხოლოდ ერთი ერი იბრძოდა ყოველთვის, ტფილისში თუ მარცხდებოდა მხოლოდ ერთი ერი იტანჯებოდა, ხოლო ტფილისში თუ იმარჯვებდა მხოლოდ ერთი ერი ხარობდა;—ეს ერი გახლავთ ქართველი ერი. ყველა სხვა რომელიმე ერი ტფილისზე იყო ერი დამცემი, გამძარცველი მაგრამ მუდამ მდგმური ერი, ერი დამცველი, ერი დამხდური—იყო მხოლოდ ქართველი ერი. აი ასეთია ბ-ნო ხუდადოვო ისტორია, რომელსაც არც თქვენ უარყოფთ, მაგრამ თქვენი ტვინი კი მალავს რასაც თქვენი გული ივიწყებს.

მაგრამ ბ ნო ხუდადოვო—ამ საინტერესო ისტორიას კიდევ ერთი მომენტიც ახლავს, რომელიც თქვენც იცით, მაგრამ რატომღაც ასე უტიფრად ივიწყებთ: ტფილისის დაცვისათვის სომხობას არასოდეს არ დაუღვრია წვეთი სისხლი და თუ სომხობას რაიმე დამსახურება მიუძღვის ტფილისის წინაშე ეს დამსახურება გამოიხატებოდა ტფილისის არა დაცვაში არამედ მის გაცემაში, ტფილისის ღალატში.

ბ-ნო ხუდადოვო, დღესაც, როდესაც ტფილისს დაცვა ესაჭიროება, როცა ტფილისის კედლებზე მტრები მოდიან განა არ ხედავთ, რომ ეხლაც ტფილისის კედლების მოღალატე გამოდგა სომხობა არა მარტო ერევნიდან წამოსულები, არამედ—სომხის სამარცხვინოდ—ტფილისის მოქალაქენი, რომელთაც გვარები გახლავთ თქვენ მიერ კარგად ცნობილი: ყორღანოვი, პოლკოვნიკი

მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს და ხელის მომწერთ, რომ ვისაც გაზეთი გამოწერილი არ ექნება 1 იანვრისთვის ახალი სტილით გაზეთი ვერ გაეგზავნება.

მდგომარეობა და ხსენებულს ბიბლიოთეკას აღმოუჩინა სახალხო საკითხავი წიგნებით დახმარება. 5) მოხალისეთა რაზმში ჩაწერილ მოსამსახურე პირებს შეენახოს ადგილი და ეძლიოს ეხლანდელი ნორმის ჯამაგირის ნახევარი. 6) გაგზავნა ბათომში მასწავლებელი ალ. მგელაძე, რომელსაც დაავალა განაახლოს სწავლა და შეუდგეს მეცადინეობას.

◆ **შეწირულება.** კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიის მნათე გ. ფარადაშვილი იუწყება, რომ ამავე საბჭომ თავის კრებაზე დაადგინა გარდაეცეს 10000 მანეთი ომის საჭიროებისათვის სათანადო დაწესებულებას, რომელიც დაუყონებლივ გარდაეცემა მნათის ხელით.

◆ **„კავკასიის ქალაქი“.** გამოვიდა და იყიდება რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის ორგანო, ჟურნალი „კავკასიის ქალაქი“ 13—14 ნომერი. შინაარსი: ქართულად. რედაქციიდან. ივ გომართელი. ერობის მედიცინა ჩვენში; ს. რ ჩვენი თვითმართველობანი; ა. ესსენი. საქართველოს საბუნებისმეტყველო-საისტორიო აღწერა; ვ. შ—ძე. ქალაქთა და ერობათა საერთო მილიცია. კანონ პროექტი ქალაქთა საბჭოების ხმოსანთა არჩევნებისა; ქრონიკა: 1) ქალაქთა თვითმართველობებში. 2) ერობათა თვითმართველობებში. რუსულად: დ. გ. შენიშვნები მილიციაზე; ე. კლეინი. მუნიციპალურ წარმოებას შესახებ; ე. მადდისონი ქალაქთა მოსამსახურეებზე; გ. თუმანოვი. ტფილისის ტეხნიკუმი და მუნიციპალიტეტები; ე. არვანიტაკი. აღზრდა შრომის ნიადაგზე; ნ. გიეი. ტფილისის შრომის ბირჟის მუშაობა; დ. კორენევი. მუნიციპალური მიმოხილვა. კომმუნალური მეურნეობა რუსეთის საბჭოებში; ქრონიკა. მისამართი: სომხის ბაზარი № 6, ტელეფონი 7—31. ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის მდივანი ე მადდისონი.

◆ **წვრილი ამბები,** 24 დეკ. დიმიტრიევის ქუჩაზე ნახეს მოკლულის გვამი. ჭრილობა აქვს 5 ალაგას ვინაობა ვერ გამოურკვევიათ.

— 23 დეკ სოლოლაკის ქუჩაზე უცნობებმა მოჰკლეს ზ. მანუჩაროვი

— 24 დეკ ახალციხის შესახვევში აზარიცკის სახლი გაქურდეს. მუქარით 5000 მ. ნივთები წაიღეს.

— 26 დეკ საღ 8 ს. არუთინოვის ტანისამოსის სავაჭროდან, ვორონცოვის ძეგლთან ქურდებმა წაიღეს 60000 მან. ფულათ და სხვა და სხვა საქონელი

— 25 დეკ. საღ. 8 ს. დ ა. მამუკაშვილის მაღაზიიდან კიროჩნი ქუჩა № 15. უცნობ შეარაღებულ, პირთ წაიღეს 7000 მან. ფულად და 16 ათას მან. ღირებული ნივთები.

ბრძანება

საქართველოს ყველა რკინის გზის, ქ. ფოთის ნავთსადგურის და მისი რაიონების გენერალ-გუბერნატორმა შემდეგი ბრძანება გამოსცა:

§ 1.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ბრძანების თანახმად სამხედრო უწყებისადმი რესპუბლიკის რკინის გზის შტოს ნაწილი სადგ. ნავთლუღიდან მოყოლებული სამხრეთით დეკემბრის 17 დან გენერალ-მაიორ წულუკიძის გამგებლობიდან გადმოვიდა ჩემს ხელში, რასაც ვაცხადებ ყველას საყურადღებოდ. საბუთი: გენერალური შტაბის ტელეფონოგრამა დეკემბრის 17 თარიღით № 01085

§ 2.

ვუბრძანებ რკინის გზის საყარაულო ბათალიონის უფროსს და რკინის გზისავე მილიციის უფროსს დაუყოვნებლივ ჩაიბარონ სამხრეთი შტო და მთელი კახეთის რკინის გზა, დასაცავად ჩემგან მიღებულ ისტრუქციების თანახმად.

§ 3.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სამხედრო უწყებისადმი ბრძანებით მეორე ქვეითა პოლკის 1 ბათალიონის უფროსი პოდპოლკოვნიკი ივკოვი ამა წლის დეკემბრის 1-დან გადმოყვანილია ჩემს განკარგულებაში ძველ თანამდებობაზე დატოვებით.

§ 4.

ჩემს განკარგულებაში მყოფი პოდპოლკოვნიკი ივკოვი დეკემბრის 1-დან ინიშნება გენერალ-გუბერნატორის ადიუტანტად.

§ 5.

რათა გამეგო, იცის თუ არა თავისი მოვალეობანი ჩემის განკარგულებით ტფილისის სადგურის უფროსისათვის ტელეფონით ვაკითხინე: როდის მიდის სამხედრო მატარებელი სადგ. სანაინს მეთქი. სადგურის უფროსმა შემდეგი უპასუხა: თუმცა მე ვიცი ვის ველაპარაკები, მაგრამ რადგან შტოსაკენ მატარებლის წასვლის დრო სამხედრო საიდუმლოებაა, შეუძლებლად მიმაჩნია ეს შეგატყობინოთ ტელეფონით.

ამისთანა ცოდნა საკუთარის მოვალეობისა და შენახვა საიდუმლოებისა ტფილისის სადგურის უფროსის ბარკლაიას მიერ ამტკიცებს, რომ იგი მშვენიერი შემსრულებელია მოვალეობისა და ასრულებს მას არა შიშის, არამედ სინიდისის ქვეშ. ამიტომ ვუცხადებ ჩემს გულწრფელ მადლობას. დარწმუნებული ვარ, ყველა მოსამსახურე რკინის გზისა შეიგნებს იმ დიდ პასუხის მგებლობას, რომელიც მას აწევს გართულებულ მდგომარეობის გამო და მთელი თავის ძალ-ღონით და გონებით ემსახურება მშობელ საქართველოს ინტერესებს.

გენერალ-მაიორი ყარალაშვილი.

მოწოდება

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთადმი.

ამხანაგებო!

სომხების უპასუხისმგებლო ავანტიურისტთა ერთი ჯგუფის გამოსვლის რამოდენიმე საუკუნებით გამტკიცებული ქართველ-სომეხთა ერების კავშირი სისხლით შეღება. ამ გამოსვლის თავიდან ასაცილებლად ჩვენმა სოციალისტურმა მთავრობამ თავის დროზე შესაფერი ნაბიჯები გადადგა და ყოველივე ზომები ამოსწურა, მაგრამ ავანტიურისტებმა მაინც თავისი ჰქნეს და თავის მუხანათურ-ავაზაკურ მოქმედებით მოინდომეს სადაო საკითხების ცეცხლითა და მახვილითა გადაჭრათ. საქართველოს სოციალისტური მთავრობა არავის ნებას არ მისცემს სადაო საკითხების ძალით გადაჭრისას და მას უკვე გადადგმული აქვს ნაბიჯები ალაგმოს ხსენებული ავანტიურისტები. სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის საბჭომ თავის 17 დეკემბრის სხდომაზე დაადგინა შეადგინოს რაზმები ადგილობრივ წესრიგის დასაცველად. ამხანაგებო! მოიხადეთ თქვენი მოქალაქობრივი მოვალეობა! ზურგის გამაგრება და წესრიგისაგან უზრუნველყოფა თავდებია ფრონტის სიძლიერისა და ბრწყინვალე გამარჯვებისა, მაშ ჩაეწერეთ რაზმებში, რომელიც დაიცავს ადგილობრივ წესრიგს და მით გაანთავისუფლებს აქ ზურგში დაბანდებულ ჩვენს დემოკრატიულ ჯარების ნაწილებს.

მსურველთა ჩაწერა ამ რაზმში და აგრეთვე მოხალისეთა რაზმში ფრონტისათვის შეიძლება შემდეგის წესით: ადგილობრივი ამხანაგები ადგენენ მსურველთა სიას და უგზავნიან კავშირის საბჭოს თავმჯდომარეს დიმიტრი სოლომონის ძე ვაჩნაძეს (გრიბოედოვის ქ. 22 სახელმ. შემნახველი კასა).

ტფილისში არსებულ სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის საბჭო.

ძეგვის ხიდის აფეთქება

სასამართლოში

მეექვსე დღე.

ხუთშაბათს, დეკემბრის 26-ს სხდომა იხსნება თორმეტის ნახევარზე.

გამოცხადდნენ ექსპერტები ჩალხუშიანის ხელის შესამოწმებლად. ესენი არიან მასწავლებლები იაკობ ზედგინიძე, სეითიაშვილი და ზახაროვი. მათ ჩააბარებენ: 1. სავაჭრო ბანკი კუპონებს, რომელზედაც რ. ჩალხუშიანს უწერია; ხოლო, 2. წერილს, რომელიც კიურნიულიანმა მიუტანა „ორიანტის“ სასტუმროში როზანა ჩალხუშიანს და რომელიც „დიაბით“ იწყება და 3. იმ ქაღალდს, სადაც სოფიო ტერ აბრამიანისა და როზანა ჩალხუშიანის მისამართები სწერია და რომელიც წინა წერილის მეორე ნახევარ ფურცელზეა დაწერილი.

ექსპერტებს ავალებენ გამოარკვიონ: 1. ერთი და იგივე პირია რ. ჩალხუშიანი და წერილის დამწერი თუ არა? 2. ერთი სადა იმავე პირის მიერ არის დაწერილი წერილი და მისამართები თუ არა? 3. ერთსა და იმავე მდგომარეობაში იყო (ესე იგი იჯდა ან იდგა) მათი დამწერი თუ სხვა და სხვა პოზაში?

დოკუმენტები არკვევენ, რომ 1 წერილი, რომელიც „დიაბით იწყება, იმავე ხელით არის დაწერილი, რომლითაც „რ. ჩალხუშიანი“ სავაჭრო ბანკის კუპონებზე; 2. წერილი და მისამართები ერთი პირის დაწერილია და 3. წერილი („დიაბით“ რომ იწყება) აჩქარებით არის დაწერილი.

დამცველი ზელინსკის თხოვნით შმაგაილოვს ჰკითხავს, ბოლშევიკების ბატონობამ რუსეთში მიაყენა მას, შმაგაილოვს, პირადად რაიმე უბედურება, თუ არა?

შმაგაილოვი. ბოლშევიკებმა ვერაგულად მოჰკლეს ოდესაში ჩემი ერთადერთი ძმა. ამას გარდა მათ დაიჭირეს დედა ჩემი, სახლი და თვით დედას გაუსწორდნენ, როგორც „ბურჟუიკას“.

ამით თავდება სასამართლოს გამოძიება და იწყება კამათი.

კამათი.

ბრალმდებელი **ჩხატარაიშვილი** ეხება საქმის ფაქტიურ მხარეს და თვითეულ ბრალდებაზე ცალკე ლაპარაკობს: შმაგაილოვი ქვეიანურ განმარტებებს იძლეოდა, თითქოს სიმართლეს ამბობდა, მაგრამ ბევრი რამ მან არ სთქვა. ის გამოტყდა თავის დანაშაულობაში, მაგრამ ბევრი ისეთი დაფარა, რაც საქმეს სავსებით გამოარკვევდა: რა წერილია ის, კიურნიულინმა რომ მოიტანა, ვინ არის ის „ოსკა“ წერილში რომ არის მოხსენებული? და მთელი რიგი საკითხებისა, რომელიც მან არ გამოარკვია. შემდეგ: ნუ თუ შმაგაილოვი ჩვენ დაგვარწმუნებს იმაში, რომ შემთხვევით შეხვდა კუჩარიანცს ტყეში. ის გარემოება, რომ ამ შეხვედრაზე ისინი სხვა და სხვა ჩვენებას იძლევიან საკმაოდ ამტკიცებს, რომ ისინი კარგად იცნობდნენ ერთმანეთს მე არ შევეხები იმას, რომ შმაგაილოვი იდეურად მოქმედებდა. მან დანაშაული ჩაიდინა საქართველოს ტერიტორიაზე, ააფეთქა ხიდი, რომელიც ჯერაც ვერ შეუკეთებიათ და რომ სავსებით დანგრეულიყო, ვერც კი გააკეთებდნენ ახალს.

ბრალდებული კუჩარიანცი ამბობს, რომ ის არ იცნობს შმაგაილოვს. მე დავეხმარები მას და მოვაგონებ, რომ იცნობდა მას: შმაგაილოვი ეს ის ამხანაგია, რომელიც მან ტფილისის სადგურზე ნახა, მცხეთაში რომ ერთად ჩამოხტნენ და რომელნიც დღემდის განუყრელნი: 1 ნოემბერს ისინი ნახეს, 3-ს ერთად შეიპყრეს? ნუ თუ ეს არ კმარა? რომელი ჭკვათა-მყოფელი ადამიანი იხეტიალებს სამი დღის განმავლობაში აფეთქებულ ხიდიდან სულ 2 ნაბიჯის მანძილზე? საინტერესოა ისიც, რომ კუჩარიანცი სასტიკ წინააღმდეგობას უწევს მილიციონერებს ამას გარდა: ის ამბობს, რომ სანოვაგის საყიდლად წავიდა სოფელში, და დაიწყო იმის წოდება, რაც სანოვაგისათვის იყო საჭირო—(ფული), ხოლო თან წაიღო ისეთი რამეები, რასაც სანოვაგესთან არავითარი კავშირი არა აქვს: ლუქი, მოკფორდის ზონარი, სანთელი. შემდეგ ფიცრები: ეს ფიცრები, როგორც სჩანს წამოღებულია ლერმონტოვის ქუჩიდან (№ 12) იმ სახელოსნოდან, რომლის ზევით კუჩარიანცი სცხოვრობდა ამ ფიცრების საშუალებით მან ჩააწყო დინამიტის კაფსიულები ხიდში.

ბრალდებული კიურნიულიანი ამბობს, რომ მას წერილი გამოატანეს მხოლოდ და თვით ბოროტმოქმედებას არავითარი კავშირი არა აქვს. გამოირკვა, რომ წერილი და მისამართები ერთი ადამიანის მიერ არის დაწერი, ეს წერილი და მისამართები დაწერილი იყო მასთან და მან იცოდა წერილის შინაარსი და მოსალოდნელ ბოროტმოქმედებაზეც იცოდა.

შმაგაილოვი და კუჩარიანცი უნდა იქნენ დასჯილი, როგორც ხიდის ამფეთქებელნი 1081 სტატიის ხოლო კიურნიულიანცი მე 15 სტ. ძალით

ბრალმდებელი **კანდელაკი** ეხება საქმის პოლიტიკურ—საზოგადოებრივ მხარეს და ამბობს ჩვენთვის სულ ერთია რა მოსაზრებით იყო აფეთქებული ხიდი თუ შევიწყნარებთ იმ მოსაზრებებს აქ რომ მოიყვანეს, მაშინ გამოდის, რომ თუ მოკავშირეთა ინტერესები მოითხოვდა რიონის ხიდის და სურამის გვირაბის აფეთქებას, იმასაც ააფეთქებდა შმაგაილოვი და ბოლოს და ბოლოს ჩვენ აფეთქებულ. ტფილისის მცხოვრებნიც გავხდებოდით: რაც შეეხება ინგლისელების მონაწილეობას და მათ მიერ გამოგზავნილ დოკუმენტს, იმას არავითარი ფასი არა აქვს: დაწერილია „ორიანტის“ ბლოკზე და არც ბეჭედი აქვს დასმული:

შემდეგ ბრალმდებელი ეხება „დაშნაკტიუთუნის“ პარტიის მონაწილეობას ხიდის აფეთქებაში და გამოძიების საბუთებით ამტკიცებს, რომ აქ ეჭვი მეტონა არ შეიძლება: დაშნაკცუთუნის" პარტია ამ საქმეში მონაწილეობდა, მრავალ-ტანჯული ხალხი საქართველოსი ელის თქვენს გარდაწყვეტილებას. ბატონნო მოსამართლენო! თქვენგან, სიმართლის დამცველთაგან, ელის, რომ იტყვით: ყველა ის, ვინც ხელს იღებს საქართველოს წინააღდეგ: ბოროტმოქმედებას ჩაიდენს საქართველოს ტერიტორიის საზღვრებში, ის დასჯილი უნდა იქნეს.

სამოქალაქო მომჩივანი **დემდოვი.** აქ ორი საკითხია: 1) დანაშაულისა და 2) ზარალის ანაზღაურებისა საქართველოს რესპუბლიკის ივლისის 5 კანონის მე-6 მუხლი და 1081 სტატია სავსებით არკვევენ ამ საკითხს. მაგრამ ბრალდებულის დამცველმა საკითხი სხვა სფეროში გადაიტანა და სთქვა—ხიდის აფეთქებაში მონაწილენი (ინგლისის მისია) ის პირები არიან, რომელნიც საერთაშორისო სამართლით უნდა იქნენ გასამართლებულიო ამ ნიადაგზეც რომ დავდგეთ, დამცველი არ არის მართალი (აქ ორატორი უტყუარი მეცნიერული საბუთებით ამტკიცებს, რომ საერთაშორისო სამართალი არაფერს შუაშია და რომ წინადადებას, საქმე კერძო სამართლის საგანს შეადგენს) ჩვენ გვაქვს ბოროტმოქმედება, რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა რკინის გზას და ეს ზარალი ანაზღაურებული უნდა იყოს. და ის უნდა უზღოს რკინის გზების სამართველოს შმაგაილოვმა და კუჩარიანცმა ერთად.

სამოქალაქო დამცველი **ქავთარაძე.** ბატონნო მოსამართლენო! თქვენ კარგად გახსოვთ ერთი მეორის საწინააღმდეგო ჩვენება კუჩარიანცისა და შმაგაილოვის მათი შეხვედრის შესახებ. ამას გარდა: როდესაც მათ ტყეში ხმაურობა მოესმათ, კუჩარიანცმა ჰკითხა შმაგაილოვს: რომ გკითხონ რას ეტყვი, სად ვიყავითო? ნუ თუ ვინმე დაიჯერებს, რომ ისინი ერთმანეთისათვის უცხონი იყვნენ, ხიდის აფეთქების არაფერი იცოდა კუჩარიანცმა და ის ასეთ კითხვას აძლევდა. ეს კითხვა ნათლად ამტკიცებს, რომ კუჩარიანცმა კარგად იცოდა, თუ რა დანაშაული მიუძღოდა ორივეს და ის ჰკითხა, რაც იმ ჟამად ორივეს აწუხებდა. როდესაც შმაგაილოვი დაიღალა და ველარ გაიქცა, კუჩარიანცმა მიჰმართა შმაგაილოვს: ადექი, გავიქცეთ, თუ არა მოგკლავო. რა საჭიროა ასეთი სიახლოვე, ერთს არ შეუძლია უმეოროდ გაიქცეს. ამას რომ დაუმატოთ ის, რომ კუჩარიანცი პრეტენზიებს უცხადებს შმაგაილოვს („შენ მე მომატყუე, გზა არ გცოდნიაო“), ჩვენთვის ცხადი შეიქნება, რომ აქ საქმე გვაქვს ორ დიდ ბოროტმოქმედთან, რომ მათ აერთებს ერთი დიდი საქმე, ხიდის აფეთქება. შემდეგ: გლეხმა სუხიაშვილმა ისინი ბუჩქში ჰნახა მიმალული.

რაც შეეხება კიურნიულიანს, ის უთუოდ ახლოს სდგას ამ ბოროტ-მოქმედებასთან. ჩალხუშიანს შეეძლო მხოლოდ ისეთ ადამიანისათვის გადაეცა წერილი, ვისაც ის ენდობოდა. შეიძლება მას აფეთქებაში არ მიუღია მონაწილეობა, მაგრამ მან იცოდა ყველაფერი კიურ-

---

მირიძანოვი და სხვ. რომელთაც თქვენ ივიწყებთ თქვენებურის კეთილსინდისიერებით.

ხუდადოვმა ძალიან კარგად იცის, რომ ტფილისში თუ სამართალი სადმე იქნება—მთავრობა შეიძლება მხოლოდ ერთი იყოს—ქართული მთავრობა, ან ისეთი მთავრობა, რომელსაც ქართველი ერი მოიწონებს, მაგრამ თუ ბ-ნი ხუდადოვი ასე გაიძვერულად ამეტყველდა ასეთ კრიტიკულ დროს იმიტომ, რომ ტფილისში დღეს სომხობა დიდ ძალას წარმოადგენს, მას ვეებერთელა სახლები აქვს, მდიდარი ბანკები და მრავალი გამოქცეულიც. განა ეწყინება ხუდადოვს, რომ ამ ძალამ მთელი ტფილისიც ხელში ჩაიგდოს?

ეს გარემოებაა—ჩემო მკითხველო—ყველაზე მეტად ის ნამდვილი საბუთი, რომლისთვის ასე მრავლად დაებადა ნერწყვი ბ-ნ ხუდადოვს. ჩვენ ამ ფაქტის დამალვა არ გვჭირია ბ-ნო ხუდადოვო, მაგრამ თქვენსავით ვერ დავმალავთ ამ საქმის ისტორიას. დეე ყოველი მოქალაქე იყოს გულწრფელი და სთქვას ამ ამბის მთელი სიმართლე, მხოლოდ მაშინ გაიგებს ტფილისის კედლებიც თუ როგორ უნდა მოეპყრას ქართველობა სომხობას.

სრული სიმართლეა: სომხობა გამდიდრდა და გამრავლდა ტფილისში. ჩვენ ტფილისში რომ ვიყავით დავლარიბდით და შევმცირდით, სომხობა კი მოვიდა, გამდიდრდა და გამრავლდა ბ-ნო ხუდადოვო, ჩაფიქრებიხართ თქვენ როდისმე ამ ფაქტს? გაგიგიათ თუ როგორ მოხდა ყოველივე ეს? ამ ამბავსაც საპატიო მიზეზი აქვს, რომელიც ყველამ იცის, მაგრამ რომელსაც ყველა სომეხი განზრახ მალავს და მათ შორის მალავს ბ-ნი ხუდადოვიც.

როცა ტფილისზე მრავალი მტერი მოდიოდა დასაპყრობად, ქართველობა ბრძოლის ველზე გადიოდა, მუშაობას თავს ანებებდა ომიანობის გამო, ხოლო როცა სისხლისაგან იწურებოდა ქართველობა, ტფილისში მრავლად შემოდიოდა სომხობა და ბრძოლის მაგიერ სპეკულიაციას ეწეოდა, მდიდრდებოდა და მრავლდებოდა. აი ბ-ნო ხუდადოვო ის პირობა რომლის გამო ტფილისში გამდიდრდა და გამრავლდა სომხობა, ხოლო დაუძლურდა და დალარიბდა ქართველობა. ნუ თუ ამ ამბის გამო სადაც სამართალია არ უნდა დაისაჯოს ჩარჩობისათვის მოსული ხალხი?—და ამის მაგიერ ჩარჩების ვექილი ხუდადოვი ტახტის დადგმასაც მოითხოვს ჩარჩებისათვის! ეს არის სამართალი, ისტორიის პატივისცემა და ზნეობა?

დღესაც ტფილისში მრავალი გამოქცეული სომეხია სომხეთიდან. ნუ თუ იმიტომ, რომ ჩვენმა მთავრობამ გამოქცეულები შემოუშვა ქალაქში ამათ ტახტიც უნდა დაუდგათ და ვაღიაროთ, რომ ტფილისი ამ გამოქცეულებისაა. განა ტფილისის სომხობა სწორედ ამ გზით არ არის ჩვენში შემოსული? სომხობა ჩვენში შემოვიდა ან გადმოსახლებით, ან გამოქცევით. ეს არის ფაქტი, რომელსაც ხუდადოვი პატიოსნურად ივიწყებს, თუმცა მთელ ფელეტონს სწერს ტფილისზე.

ბატონო ხუდადოვო, ჩვენ შეგვიძლია სომხობა შევიბრალოთ, როგორც უბედური ხალხი და ისე მოვექცეთ საქართველოში, როგორც გულკეთილი ადამიანი მოეპყრობა საწყალსა და უბედურ კაცს. არც მეტი, არც ნაკლები და თქვენც, როგორც განწირულ ხალხს, არც მეტი და არც ნაკლები პრეტენზია უნდა გქონდეთ სამაგიეროდ.

ქართველი ერი არის რაინდული ერი. როცა მტრის წინაშე ქედს ვიხრიდით დამარცხებულები სხვის ქვეყნებში კი არ მივრბოდით თავის შესაფარებლად, არამედ სამშობლოს სალს კლდეებს ვაფარებდით თავს, სადაც მხოლოდ ორბნი ბუდობენ. ამიტომ იყო, რომ ქართველობა არასოდეს მისულა სომხობასთან საშველად და დასახმარებლად. ამიტომ იყო, რომ სომხეთის ისტორია ვერ ნახავს გამოქცეულ ქართველს სომხეთში ჩვენ თავის სახლში ვიყავით ყოველთვის და ვართ დღესაც, ამიტომ სხვას არაფერს არასოდეს ვედავებით, ერევანიც დაგვითმია სომხებისათვის, ბაქოც თათრებისათვის, მაგრამ დეე ეხლაც მაინც იცოდნენ ხუდადოვებმა: ვინც ჩვენთან მოვა, ის უნდა იყოს, როგორც მოსული, როგორც სტუმარი და არა თავხედი მეამბოხე, არა ინსურგენტი. მეამბოხეთათვის ჩვენ ერთი პასუხი გვაქვს:—წადით—საიდანაც მოსულხართ.

წავიდეს ყველა თავის სამშობლოში, თავის სახლში და ხუდადოვის თვალი მყისვე დაინახავს ტფილისის სურათსაც, მაშინ სომხობაც იძულებული იქნება ჩარჩობას თავი გაანებოს ტფილისში, გადაბარგდეს როგორც ერთ დროს გადმობარგებულა ჩვენში და ტფილისი კი დარჩება იმ ერისა, რომელიც მუდამ აქ იყო, რომელიც ეხლაც აქ არის.

ტფილისი იყო, არის და იქნება ქალაქი არა გამოქცეულების, არამედ მუშების და მკვიდრების, ქალაქი მხოლოდ და მხოლოდ საქართველოსი.

თედო ღლონტი.

ლიანი და კუჩარიანი დაშნაკელები ან კუჩარიანი ბრძოლაში გამობრძმედილი მებრძოლია (ის იყო მიცემული სამართალში „დაშნაკელების“ ცნობილ საქმის გამო). კიურჩიულიანცსაც ხომ პარტიული ბილეთი აღმოაჩნდა. ჩალხუშიანიც ხომ დაშნაკელია და მასთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობს შმაგაილოვი. არსებობდა მთელი ჯგუფი, რომელიც საერთო ძალ-ღონით ძირს უთხრიდა საქართველოს მოიგონეთ: 1) ჟუნკოვსკის, რუბენაუს და სხვათა საქმე, 2) დინამიტი, რომლის ანგარიში „ორიანტში“ გადაიხადეს, 3) საინტენდანტო საწყობების გადაწვა და დასასრულ 4) ძეგვის ხიდი. და თქვენ წარმოიდგებათ ის, თუ როგორ უთხრიდნენ ძირს საქართველოს. ძეგვის ხიდი 1 ნოემბერს ააფეთქეს. განა დასაჯერებელია, რომ ეს გერმანიის დასამარცხებლად იყო მიმართული? 10 ოქტომბერს ხომ მოკავშირენი უკვე სოფიაში იყვნენ და 4 ოქტომბერს პრინცმა მაქსმა ბადესელმა მიიღო ვილსონის 14 მუხლი. დასასრულ 1 ნოემბერს მოკავშირენი უკვე შავ ზღვაზე იყვნენ და არც ერთ გერმანელს არ შეეძლო შავი ზღვით წასვლა. და იმაზე ლაპარაკი, რომ ეს აქტი გერმანელების შეფერხებისაკენ იყო მიმართულიო, სრულიად ზედმეტია.

სამოქალაქო დამცველი პოტებნია ლაპარაკობს საერთაშორისო სამართალზე და ინგლისელთა მონაწილეობაზე ძეგვის ხიდის აფეთქებაში, ხოლო მისი სიტყვიდან სრულებით არა სჩანს ვის წინააღმდეგ ლაპარაკობს იგი.

სხდომა სწყდება საღამოს ხუთის ნახევარზე.

ამერიკიდან საქართველომდე

ქ. სამარაში.

სამარაში ჩეხო-სლოვაკების ჯარი იდგა. ჩელიაბინსკს აქეთ სამარა სიზრანამდე დამფუძნებელ კრების წევრების მთავრობა იყო, რომლის პროგრამმა ციმბირის მთავრობის პროგრამისაგან არ განსხვავდებოდა რადგან საერთო მიზნების მისაღწევად მოკავშირე სახელმწიფოების რჩევით მოქმედებდნენ. ამათი ძალა პირველ ხანებში ხალხს ძლიერ ეჩვენა და ამიტომ სულ მოკლე ხანში რამდენიმე ქალაქი წაართვეს ბოლშევიკებს, მაგრამ ძალა ადრე შემოელიათ, ჩეხო-სლოვაკები ვლადივასტოკიდან სიმბირსკამდე დაქსაქსულნი დარჩნენ ახალ ჯარისკაცთა შორის მკაცრი დისციპლინის ადგენის გამო უკმაყოფილებამ და დეზერტირობამ იმატა, დაპირებულ მოკავშირე ჯარის მოსვლა დაგვიანდა მოკავშირეთა შორის ერთმანეთის უნდობლობის გამო ამით ბოლშევიკები სარგებლობდნენ და ბევრი ქალაქების წართმევა ძვირად დაუსვეს დამფუძნებელ კრების წევრებს.

ქალ. სამარას შედარებით ციმბირის და ჩემ მიერ გამოვლილ ქალაქებისა უფრო სიცოცხლე ეტყობოდა, და სანოვაგეც ბლომად იშოვებოდა. პური 1 მ. 50 კ. გირ. თეთრი! შაქარი 23 მ. გირვანქა; ჩაი კუზნეცკოის 60 მ გირვანქა. ხორცი 3 მ. 50 კ. გირ. ვაშლი 120 მ. ფუთი. ერბო 10 მ. გირ, ყველი 2 მან; გირ.

ვაჭრებს ბოლშევიზმის შიშის დროს დამალული საქონელი სავაჭროდ ბაზარზე გამოეტანათ და ცდილობდნენ იაფად თავიდან მოშორება, რომ კიდევ ბოლშევიზმს არ მოესწრო.

ქალაქში ბევრი უსაქმოდ დარჩენილი მშიერ-მწყურვალი და უსადგურო მუშა ხალხი იყო, რომლისათვის ძრიელ ცოტას ფიქრობდნენ და ამიტომ ძრიელ გახშირებული ცარცვა გლეჯა იყო.

აგვისტოს 23 საღამოს 8 საათი იყო, რომ სადგურის ახლოს ოთხმა რევორვერებით შეიარაღებულმა წამართვა 480 მანეთი, ამერიკაში ანალები პასპორტი ჩემი სურათით, სხვა და სხვა ჯიბის ნივთები და საბუთები. საშველად იქვე მდგომ დარაჯს მივმართე, მაგრამ შველის მაგიერ ირონიულად მითხრა „შენ კიდევ ბევრი დაგრჩებოდაო.„ სადგურის მორიგს განუცხადე, ოქმი შეადგინეს და კოპიო მე გადმომცეს. ამ კოპიოს და მოწმეების შემწეობით რამდენიმე კვირის ცდის შემდეგ ქალაქის მილიციაში მივიღე სამი თვის ვადიანი პასპორტი.

მეორე დღეს სექტემბრის 17 ნებართვაც მომცეს ქ. სიზრანში წასვლისთვის და სამარიდან გამოვედი მატარებლით და შევედი ქ. სიზრანში სექტემბრის 18. ჩეხოსლოვაკები სიზრანის ევაკუაციას განაგრძობდნენ და მატარებლები მარტო საომარ მასალის ზიდვას სჭირდებოდა. საომარი ფრონტი ქ. სიზრანის გარშემო იყო. გზა ქ. სიზრანიდან ბოლშევიკურ რუსეთში გადმოსასვლელი იყო ორი პირველი მდინარე ვოლგით ქ. ხვალინსკში განვლით სადაც გამვლელთა მოკლულ გვამებით და ბარგებით მდინარე გამსილი იყო და მეორე ფეხით ან დროგით ქალ. კუზნეცკოიმდე (სარატოვის გუბ.) 185 ვერსტზე. პირველით წასვლის ნებართვა არ მომცეს და ავიღე მეორე და ენკენისთვის 21 გამოვედი ქ. სიზრანიდან დროგით და მეოთხე დღეს 185 ვერსტის განვლის შემდეგ მივედი სად. კუზნეცკოიზე. მგზავრები ვიყავით ერთად ოცამდე სული ქალი და კაცი. რვა ვერსით შემოუარეთ ბრძოლის ველს, მაგრამ ორივე მხრიდან მებრძოლთ ხშირად ვხდებოდით. სიკვდილის მოლოდინში შეშინებულნი მგზავრები ეუბნებოდნენ როგორც ჩეხოსლოვაკებს ისე წითელ რაზმელებს ყველა სიმაგრეები მდებარეობას და სამხედრო საიდუმლოებას რომ ამით დაემტკიცებინა თავისი შეხვედრილისადმი ერთგულება. ქალ. კუზნეცკში მისვლისთანავე ბოლშევიკურ რუსეთში მგზავრები დაგვატყვევეს ბოლშევიკებმა. ახალგაზრდები აარჩიეს და სამხედრო სამსახურში ჩარიცხეს და ხნიერნი სასტიკ ჩხრეკა ძიების შემდეგ სხვა და სხვა ალაგებისკენ გაისტუმრეს. მე ამერიკიდან მომავალს დაახლოებით ოთხ ფუთამდე ბარგი (წიგნები ფუთ ნახ.) მქონდა და ჩემი ბარგის გაშინჯვაში მათ დიდი ეჭვი დაებადათ. ჩამოართვეს ინგლისურ და რუსულ გაზეთებიდან ამოჭრილი ცნობები, ამერიკის, აზიის და ევროპის რუქები ინგლისურ ენაზე, ერთი სმიტიგეტსონის სისტემის რევორვერი 45 პატრონით და ცოტა საქონელიც, რომლის კვიტანციაც მომცეს და ამასთანავე ნებართვა ქ. პენზაში მისვლისა.

გავედი ქ. კუზნეციდან მეოთხე კლასის ვაგონით და ქ. პენზაში მისვლისთანავე სექტემბრის 27 ბარგი ჩამომართვეს და სადგურის ახლოს საგანგებოდ მოწყობილ სახლში გამშინჯეს. ჩემი მაწვალებელი რომელსაც მისი საქციელიდან შევსწამე ყველაზე გულ მოდგინედ ჩემში ოქროს ეძებდა იყო რუსი ებრაელი, რომელსაც წელზე ოქროს ქამარი ამშვენებდა. ჩემთან ეს გმირი დიდ მამაცობას იჩენდა (ესეც ებრაელი) და დახვრეტით მემუქრებოდა. (ალბად თორმეტი წლის უცხოეთში ყოფნის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებისთვის!), ისი მეცადინეობით შეიარაღებულ ჯარისკაცების თანხლებით პიროვნების გამომარკვეველ კომისიაში გამგზავნეს. კომისიაში თუმცა ბოლშევიკები იყვნენ, მაგრამ აღმოჩნდნენ მცოდნე ქართველ მოღვაწეებისა, და გულ-ნაკლულად მითხრეს, მე ქართველ მენშევიკების მისახმარებლად მივდიოდი. უდანაშაულოდ და განთავისუფლებისთანავე პიროვნების დამამტკიცებელი მოწმობა მომცეს, რომლის შემწეობით გუბერნიის კომისარიატმა ქ. ტულამდე წასვლის ნებართვა მომცა.

რადგან მგზავრობის ნებართვას და რკინის გზის ბილეთს მხოლოდ საგუბერნიო ქალაქამდე იძლეოდნენ, ამიტომ ქ. პენზიდან გამოვიარე რიაზანი, ტულა, ორიოლი, კურსკი და მივედი სადგურ პრომოხოვოზე, სადაც უკრაინაში წამსვლელთათვის ბოლშევიკების უკანასკნელი დამოუნა არის. აქ მოხელეები ტანზე და ფეხზე გახდილ მგზავრებს ძრიელის გულმოდგინებით შინჯავდნენ, და რადგან გადასახადი არ არსებობს, თუ რომელიმე საქონელს სიახლე ეტყობოდა ართმევდნენ და კვიტანციას აძლევდნენ. აგრეთვე თუ რომელიმე მგზავრს 500 მანეთზე მეტი ნაღდი ფული აღმოაჩნდებოდა, ართმევდნენ კვიტანციის მიცემით.

ბოლშევიკურმა რუსეთმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. თუმცა ამერიკაში ბევრსა სწერდნენ რუსეთში ბოლშევიკურ მოქმედების შესახებ, მაგრამ რაც მე რუსეთში გამოვლის დროს თვალით ვნახე და გავიგონე, იმას ამერიკაში ყოფნის დროს წარმოდგენითაც ვერ წარმოვიდგენდი.

ამბობენ წელს კარგი პურის მოსავალი იყოვო მაგრამ ჩემ მიერ ექვს გუბერნიაში გამოვლის დროს გასაყიდად ნამდვილი პური არსად არ მინახავს და ნახევრად მიწა ნარევ პურს 8-10 მანეთად ყიდულობდენ გირვანქას, რომლის გაყიდვის გამყიდველს ეშინოდა და მყიდველს კი ყიდვის. ხორცი, ჩაი და შაქარი სრულიად არსად არ იშოვებოდა და ხალხი თევზის წვენში სხვა და სხვა მოხარშულ მცენარეებით იკვებებოდნენ.

ქალაქებში ვაჭრობა მრეწველობის აჩრდილიც აღარ იყო, და ფანჯრებჩამტვრეული მაღაზიები გამვლელთ გლოვით შეჰყურებდენ. კოოპერატიულ მაღაზიებში მოიპოვებოდა რიკვიზაციის წყალობით წანართმევი სხვა და სხვა საქონელი, მაგრამ მომავლისოვის სარეკვიზიციო რომ აღარსად სჩანდა, და საქონელს არავინ არ აკეთებდა ბევრმა კოპერატივის გამგეებმა თვითონვე მოახდინეს მათთვის ჩაბარებულის რიკვიზიცია, ფული მიითვისეს.

ბევრს ქალაქში ბურჟუაზის მობილიზაცია იყო მაგ. ქ. პენზაში მღვდლებს, ყოფილ ვაჭრებს და მოხელეებს ვინც ბოლშევიზმი არ იწამეს, ქუჩებს აწმენდინებდნენ.

ბევრს ქალაქებში სახლების რიკვიზიცია მოახდინეს და ბურჟუაზების უბნები „პროლეტარების„ უბნებად აქციეს; მაგრამ ნამდვილი პროლეტარები ისევ ცივ ცის ქვეშ ვაგზლების იატაკზე მწოლარე ვნახე. და მათ ქურქში გახვეულმა სრულიად მუშაობის არ მასურველმა და არც მცოდნეთ ბურჟუაზებისაგან ჩამორთმეულ სახლებში თავი ოიკალთეს.

სარატოვის გუბერნიაში ქალების ნაციონალიზაცია შემოიღეს, რომლის წყალობით 20-30 წლამდე ქმარიანმა და 20-40 წლამდე უქმარო ქალებმა ჯარის კაცების ბანაკში საალერსოდ უნდა იარონ. ამნაირმა მოვლენამ და ცხოვრების უსახსრობამ პროსტიტუცია გაამრავლა და ამავე მოვლენამ მათი მოალერსენიც გაამრავლა, რომელთა რიგი მოკლე ვადიან საალერსო ნომრებთან უბნებს სცილდებოდა და ნომრების რიგის საათობით უცდიდნენ.

ამბობენ, რუსეთში ბევრი უსაქმოდ დარჩენილი ხალხი არისო. ამის მიზეზად მე იმას ვსთვლი, რომ საქმის მცოდნე და მომწყობელი ცოტა ჰყავთ და ამიტომ უსაქმობა თავის თავად ვრცელდება. კოოპერატივების წინ, რკინის გზის და გემების სამგზავრო ბილეთების კასებთან და ნებართვის მიმცემ ნაწილებში ათასობით რიგში მდგომ ხალხს რამდენიმე დღეს ფეხზე დგომის ფეხ მოკვეცილნთ რიგში ცივ მიწებზე სძინავთ და ათენებენ, მაშინ როცა საქმის ამსრულებელნი თავიანთ საქმეზე არც კი არიან, და ერთი ან ორი კაცის ადგილზე სიმცირის გამო რამდენიმე ათასი კაცი და ქალი რიგში ყოფნით წვალება და ტანჯვის გარდა რამდენიმე ათას ქვეყნისთვის და ცხოვრებისთვის საჭირო და სასარგებლო საათს უნაყოფო ტანჯვა წვალებაში ჰკარგავს.

ციმბირში ხშირად გამიგონია, ინგლისელებმა ბოლშევიკები უნდა დასცენ და ბატონყმობა აღადგინონო.

სადგურიდგან მატარებელზე მიმავალ მგზავრებს კარებზე მდგომნი ბოლშევიკები თვალის არჩევით უშვებენ და ბედნიერთა რიგს აქ პროლეტარულად ჩაცმულნი ეკუთვნიან, ბურჟუაზებს კი ხიშტით ხელში „не пущу“-ს ეუბნებიან და იმდენს აცდევინებენ, სანამ მგზავრი ისწავლიდეს წინა კარების მაგიერ უკანა კარებიდგან გასვლას და ნახევარ გვერდზე ვაგზლის გარშემო მოვლას.

რკინის გზაში სამგზავრო ბილეთების აღებისთვის რიგში დგომა იყო საჭირო და მატარებელში შესვლისთვის კი ბრძოლა, და ვისაც ბრძოლა არ შეეძლო ვაგონების სიმცირის გამო ერთ და იმავე სადგურზე კვირაობით რჩებოდნენ.

ვაგონებში მგზავრებს ხშირად სჩხრეკდნენ წითელ არმიელები და ბევრ მგზავრს უნებართვოდ სანოვაგის გამტანთ ყველაფერს ართმევდნენ. ბარგის შემოწმების დროს მგზავრის ბილეთს და უკანასკნელ სადგურსაც უკვირდებოდნენ და თუ პირველ და მესამე გაშინჯვის დროს არ წაართვეს უკანასკნელ სადგურზე მაინც წაართმევდნენ.

ვისაც მოწმობა ექმნებოდა, თავის მამიდაშვილ კომიტეტიდგან ან „ტოვარიშჩიდგან“ რასაკვირველია ამისთანები მოსკოვშიც მიბრძანდებოდნენ დატვირთულნი და იქიდგანაც მანუფაქტურით დატვირთულნი სხვა ქალაქში წავიდოდნენ.

ამისთანა სპეკულიანტებში მგზავრობას ქ. კუზნეცკიდგან სად. პრომოხოვომდე შვიდ დღეს მოუნდი.

იოს. ლომაძე.

ს ი ა

იმ პირთა, რომელთაგან შემოსულია სამხედრო სამინისტროში შემოწირულობანი საქართველოს რესპუბლიკის არმიის მოხალისეთა რაზმების შესადგენად.

ათ-ათი მანეთი: ივანე ბუდიაშვილმა, ალექსი სულთანიშვილმა, ხალიკო ნავრუზაშვილმა, ილია ბეზარაშვილმა, გიორგი კაცელაშვილმა, გიორგი ზურაბაშვილმა, იაგორ გუგუნაშვილმა, ლუკა ბაზერაშვილმა, თედორე რევაზიშვილმა, დიმიტრი ცოცხალაშვილმა, პავლე კიკოლაშვილმა, ალექსი კუჭიაშვილმა, სოლომონ ივანიაშვილმა, არსენ გელაშვილმა, პართენ გივიევმა, ზაქრო გაბაძემ 50 მან., სოლომონ შასყულაშვილმა 50 მან., ალექსი დიდმელაშვილმა 100 მან., პორფილე მეშვილდეშვილმა 100 მან., დიმიტრი ძიმაშვილმა 200 მან., გიორგი ქილაშვილმა 100 მან., მალაქია ქიტაშვილმა 50 მან., იასონ გუგულაშვილმა 100 მან., თათუხ პეტრუზოვმა 50 მან., ალექსანდრე პაპუაშვილმა 200 მან., ზაქარია ლომიშვილმა 200 მან., ნიკო ნაცვლიშვილმა 50 მან., სიმონ აბიაშვილმა 50 მან., თედო ხუციშვილმა 50 მან., საქული კაკიაშვილმა 50 მან., ივანე ბერიშვილმა 50 მან., პავლე ხოსიტაშვილმა 50 მან., გრიგოლი ყაზიაშვილმა 100 მან., დიმიტრი ბაზერაშვილმა 100 მან., სიმონ ახალკაციშვილმა 200 მან., ალექსანდრე ლაზიაშვილმა 100 მან., ალექსანდრე ყაზიშვილმა 50 მან., ალფეხი პანჩიკიძემ 100 მან., დიმიტრი მამუჩაშვილმა 50 მან., ილიკო ინაძემ 50 მან., ვასილ ბერიკაშვილმა 50 მან., ვანო გოჩანაშვილმა 50 მან., დავით ძამაშვილმა 50 მან., ალექსანდრე ყაზიშვილმა 100 მან., ალექსანდრე შიხაშვილმა 50 მან., ივანე ივახიშვილმა 100 მან., იოსებ ტურაშვილმა 50 მან., ალექსანდრე ჰიაურმა 50 მან., ვასილი კაპანაძემ 50 მან., ზაქარი ჯამუტაშვილმა 50 მან., ალექსანდრე მეღალაშვილმა 20 მან., ალექსანდრე ქურხულმა 50 მან., ივანე ჟუჟიაშვილმა 20 მანეთი, სიმონ მეღალიშვილმა 50 მან., იოსებ ბრეგვაძემ 50 მან., ესტატე მანთაშევმა 100 მან., ექიმი იოსებ თუმანიშვილმა 500 მ., ჯამი 5140 მან.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით შეძლება მომცეთ მკითხველთ ვაუწყო, რომ მე გაზეთ „საქართველოსი“ თანამშრომელი ვარ, პასუხისმგებელი მარტო იმ წერილებისათვის, რომელიც ჩემ მიერ არის ხელმოწერილი „საქართველო“-ს ჯგუფთან როგორც პოლიტიკურ ორგანიზაციასთან და საზოგადოთ რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან—მე არავითარი კავშირი არა მაქვს.

ვლადიმერ ემუხვარი.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ექიმი კონსტანტინე ტარიელის ძე ლორთქიფანიძე (ბაქოდან) მიიღებს **შინაგან სნეულობის და ბავშვების** ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე. ნაბერეჟნის ქუჩა, სახლი 11. ტელ. 8—19. 2512

ექიმი გ. მუხადლიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—3 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი [illegible]. მიიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფები დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოვს“ პირდაპირ № 8. 301

ექიმი დ. ა. ხარალიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო. 2105

ექიმი ი. ძ. [illegible] შინაგანი ავადმყოფობა, [illegible] ავადმყოფობანი გულმკერდისა, [illegible], სასუნთქის ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—8 საათამდე. პეტრიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 908

თვალის სამკურნალო ექიმის [illegible] დონხინისა

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენაში და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 626

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი
მედიცინის დოქტორის
გ. მერაბოვისა
(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა).

მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, ჭლექის ავადმყოფობა (ტუბერკულოზი), კუჭისა და ჰაჭებისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით, დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92. ყოველდღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ.
ხაწყლებს უფასოდ. 1340

ექიმი ქალი ა. ბ. [illegible] მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე **შინაგან ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ, და იძლევა ხაზუხით დარიგებას.** სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხაილოვის პრ. სახლი № 119. ტელ. 9—26. 2306

ექიმი ნიკოლოზ მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მისამართი [illegible] ქ. № 11. 2245

საექიმო მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევანი
მიიღება
ა. ს. ხვლედიანის
აფთიაქში. გოლოვინის პროსპექტი № 41, ტელეფონი 11—65. 255

ექიმი ზ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

[illegible] ნაზახარდიანის პირველი [illegible] სამკურნალო.
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606“ და „914“ 11—12 ს.
ა. ა. ნაზახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ბ. ზ. აგახაროვი: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. გ. ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.
ი. ი. ტერ-[illegible], 12—1 ს. შინაგანი.
რჩევა-დარიგება 3 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნაზახარდიანი.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისთვის ჟურნალზე
„კავკასიის ქალაქი“
საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის ორგანო,
ორკვირეული გამოცემა მუნიციპალური საკითხების შესახებ.
ჟურნალი გამოდის ქართულ-რუსული განყოფილებით.
ჟურნალი ღირს: ერთი წლით—36 მან., ნახევარი წლით—18 მან. 50 კაპ. სამი თვით—10 მ. ცალკე ნომერი 3 მან.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისი, სომხის ბაზარი № 6. ტელეფონი 7—31.
146

ძმ. ვეფხვაძეების
ლიმონადის ქარხნებში მზადდება სხვა და სხვა ლუდი და წყლები. ვიღებთ შეკვეთას პროვინციებიდან და რკინის გზის ბუფეტებიდან და ადგილობრივ მედუქნეებისაგან აქვე მზადდება საზამთრო კვასი პურისა და ხილეულობისა. ამ ღვინის სიძვირის დროს ხელმისაწვდომ ფასებში, იყიდება აგრეთვე ნამდვილი ღვინის ძმარი გოგოლის და ბატარეის ქ. კუთხე 52—24. 2546

ტფილისი, სტამბა „სახალხო საქმე“ ბარონის ქ. 14. (კალოუბნის ქ. 14)